

ტრანსცენდენტური ღირებულებების გავლენა
გარემოსდაცვით ქცევაზე

თამთა ბერაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

შინაარსი

აბსტრაქტი.....	1
კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა.....	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
შალომ შვარცის ღირებულებათა იერარქიული მოდელი	7
გარემო და ეკოლოგია.....	9
კვლევები ტრანსცენდენტურ ღირებულებებსა და გარემოსდაცვით ქცევას შორის კავშირის შესახებ.....	12
კვლევის მეთოდი.....	18
შერჩევა	18
საკვლევი ინსტრუმენტები	18
პროცედურა და მონაცემთა ანალიზი	20
შედეგები და შედეგების განხილვა	21
კორელაციური ანალიზი	21
რეგრესიული ანალიზი	22
დასკვნა	23
შერჩევის მოცულობა	23
სოციალური კოგნიცია	23
მოდელი „ღირებულება-ატიტუდი-ქცევა“	24
გარემოსდაცვითი იდენტობა და გარემოსდაცვითი თვით-იდენტობა	25

შ.შვარცის „ნორმის აქტივაციის მოდელი“	26
გამოყენებული ლიტერატურა:.....	28
დანართი.....	32
ზოგადი გარემოსდაცვითი ქცევის კითხვარი	32
PVQ-RR - შვარცის ღირებულებათა საზომი	36

აბსტრაქტი

დედამიწაზე ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების კვალდაკვალ, ფსიქოლოგები დაინტერესდნენ იმ ფაქტორებით, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ გარემოსადმი გულგრილ დამოკიდებულებებსა და გარემოსადმი მეგობრული ნაბიჯების გადადგმაზე. როგორც არაერთი თანამედროვე კვლევა აჩვენებს, აღნიშნულ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ღირებულებებს. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს კიდევ ერთ მცდელობას, გავიგოთ, არსებობს თუ არა კავშირი გარემოსდაცვით ქცევებსა და თვით-ტრანსცენდენტურ ღირებულებით ორიენტაციას შორის, რომელიც ეყრდნობა შალომ შვარცის ღირებულებათა იერარქიის მოდელს და აღნიშნავს დაინტერესებას უნივერსალური პრობლემებით. კვლევაში მონაწილეობდნენ ისეთი ადამიანები, რომელთა საქმიანობა არ უკავშირდებოდა გარემოს დაცვის საკითხებს. 113-მა ადამიანმა შეავსო შვარცის ღირებულებათა საკვლევი კითხვარისა და ზოგადი გარემოსდაცვითი ქცევის კითხვარის გაერთიანებული ვერსია, რომლის შედეგების საფუძველზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰიპოთეზა გამართლდა და კორელაციური ანალიზის საშუალებით დადგინდა, რომ არსებობს სუსტი დადებითი კორელაცია ცვლადებს შორის. მიღებული შედეგი შეიძლება აიხსნას როგორც სოციალური კოგნიციის მექანიზმებით, ასევე შვარცის ნორმის აქტივაციის მოდელით. კვლევის შედეგები აჩვენებს მომავალი, ექსპერიმენტულ მეთოდზე დაფუძნებული კვლევების განხორციელების საჭიროებას.

საძიებო სიტყვები: თვით-ტრანსცენდენტურობა, ღირებულებები, გარემოსდაცვითი ქცევა

თანამედროვე საზოგადოება ენერგიის გამოყენებაზეა დამოკიდებული. სახლის პირობებში ჩვენ მოვიხმართ როგორც გათბობის საშუალებებს, ასევე წყალსა და ელექტროტექნიკას. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება წარმოდგენს გამუდმებული არჩევანის გაკეთების პროცესს - მოვიქცეთ ისე, როგორც სასარგებლოა ჩვენთვის, თუმცა, ნეგატიური გავლენა მოვახდინოთ გარემოზე, თუ პირიქით. იმისათვის, რომ სტიმულირებული იქნას გარემოს დაცვაზე მიმართული მოქმედებების განხორციელება, საჭიროა უფრო ჩავუღრმავდეთ იმ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გარემოსდაცვითი ქცევების განხორციელების სურვილს (Nordlund, Garvill 2002, 742).

“თანამედროვე პირობებში ადამიანის მიერ გარემოს ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებულმა და ხშირად არარაციონალურმა გამოყენებამ მრავალი ლოკალური და გლობალური ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დააყენა თანამედროვე საზოგადოება, რამაც ბიძგი მისცა გარემოს შესწავლისათვის ახლებური მიდგომებისა და მეთოდოლოგიების გამოყენების აუცილებლობას. მნიშვნელოვნად გააფართოვდა გარემოს შესწავლის არეალი და შინაარსობრივად იგი მეცნიერების ინტერდისციპლინარულ ნაწილად ჩამოყალიბდა”.¹

„გარემო“ - ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არა ცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს“². წლების გასვლასთან ერთად, გაიზარდა გარემოს დაბინძურების პროცესში ადამიანის გავლენის საკითხისადმი ინტერესი. „გარემოს ანთროპოგენური გაბინძურება შეიძლება განიმარტოს, როგორც მისი უარყოფითი ცვლილება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად“ (ქაჯაია 2002, 82).

¹ [http://www.bs-hotspots.eu/Documents/Deliverables/Guideline%20for%20Public%20Organizations%20\(GE\).pdf](http://www.bs-hotspots.eu/Documents/Deliverables/Guideline%20for%20Public%20Organizations%20(GE).pdf) (24.06.2017)

² „საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ“. კარი I, თავი I, მუხლი 4, პუნქტი ა.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1887106> (14.06.2017)

როგორც ვხედავთ, პრობლემა საკმაოდ დიდია. რა ფსიქოლოგიური ფაქტორები მოქმედებენ, როდესაც ადამიანში აქტივირდება გარემოსდაცვითი ქცევა? ამ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, გარემოს პრობლემების შესახებ ინფორმაციის ცოდნასა და პრობლემის გაცნობიერებასთან ერთად, არის სწორედ ღირებულებათა სისტემა. ამ მოსაზრებას არაერთი თანამედროვე კვლევა ადასტურებს, როგორებიცაა, მაგალითად, ღირებულებების გავლენა გარემოს დაცვის განზრახვებზე ტურისტული ალტერნატივების განხილვისას (Mehmetoglu, Hines, Graumann, Greibrokk, 2010; Hedlund, 2011; Perkins, Brown, 2012). გარემოს მნიშვნელოვნებაზე მიმართული ღირებულებების გავლენა მომხმარებელთა მიერ ე.წ. „მწვანე“ პროდუქტების (Rahman, 2014) და ენერგოეფექტური ტექნიკური მოწყობილობების შეძენაზე (Nguyen, Lobo, Greenland, 2016) და ზოგადად, ღირებულებათა კავშირი გარემოსადმი მეგობრული ქცევების განხორციელებაზე.

”ღირებულებებს განმარტავენ, როგორც სასურველ, ღრმად გამჯდარ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალ და ამართლებენ წარსულ ქმედებებს“ (სუმბაძე 2012, 5).

სწავლულები ღირებულებებს ხშირად იყენებდნენ ისეთი საკითხების საკვლევად, როგორებიცაა ადამიანის ბუნების გაგება და ინდივიდის საზოგადოებასთან ურთიერთობა. მაგალითად, დიუი თვლიდა, რომ მისეული პრაგმატიზმის გაგებისათვის აუცილებელია ღირებულებათა განსაზღვრა. პარსონსისათვის ღირებულებები იყო ინდივიდის მთლიანი ქცევის გაგების ინსტრუმენტი. კლუკჰონს ეკუთვნის ამ ცნების ვრცელი მიმოხილვა პარსონსის ქცევის თეორიაზე დაყრდნობით. როკიჩმა ეს ცნება თანამედროვე ფოკუსზე გადაიყვანა, რასაც ეყრდნობა შალომ შვარცის ღირებულებათა უახლესი მოდელი (Hitlin 2003, 119).

თავად შვარცის განმარტებით კი, ღირებულებები კონცეპტუალიზდება, როგორც „ტრანსსიტუაციური მიზნები განსხვავებული მნიშვნელოვნებით, რომლებიც ასრულებენ წარმმართველი პრინციპების როლს პიროვნების ცხოვრებაში“ ... ღირებულებები ასახავენ იმას, რასაც ადამიანი მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკუთარ

ცხოვრებაში, როგორ ადამიანად ისურვებდა გახდომას (ეგრეთ წოდებული „იდეალური სელფი“) და როგორ ხედავს სინამდვილეში საკუთარ თავს. სხვა სიტყვებით, ღირებულებები ახდენენ გავლენას პიროვნების თვითიდენტობაზე (Van der Werff, Steg, Keizer 2013, 56-57). იდენტობა კი ადამიანის მამოძრავებელი მექანიზმია.

ღირებულებების კვლევები საკმაო პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე სამეცნიერო წრეებში. ფსიქოლოგიაში მისი შესწავლა ხდება მრავალი განსხვავებული კუთხით, მათ შორის: ღირებულებების როლი პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებასა (Hitlin, 2003) და იდენტობის აუთენტურად გამოხატვაში, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ ურთიერთობებში (Arıcak, Dündar, Saldaña, 2015); შინაგანი და გარეგანი ღირებულებების როლი თვით-ზრდასა და თვით-ძიებაში ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე (კოლეჯის სტუდენტებსა და მასწავლებლებში) (Lekes, Houliort, Milyavskaya, Hope, Koestner, 2016); ღირებულებების გავლენა ყოველდღიურად საკვებპროდუქტებს შორის არჩევანისგაკეთებისას (Manan, 2016). ღირებულებები და მორალურ-კოგნიტური თავისებურებები აგრესიული და წესების დამრღვევი ქცევის შესწავლაში მოზარდთა შორის (Paciello, et. al 2017).

ღირებულებითი პრიორიტეტების ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვის საფუძველი აბრაჰამ მასლოუს თანახმად, პიროვნების მოთხოვნილებებში უნდა ვეძიოთ. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელი ადამიანის ქცევის საფუძველად მდებარე მოტივაციებზე საუბრობს და როგორც ჩანს, მასში არა მხოლოდ ღირებულებათა მნიშვნელობა იკვეთება, არამედ ჩანს გარესამყაროთი დაინტერესების და მისთვის სარგებლობის მოტანის საჭიროება ადამიანის ცხოვრებაში. მასში მოთხოვნილებები დალაგებულია ყველაზე მარტივიდან ყველაზე მნიშვნელოვან უმაღლეს მოთხოვნილებამდე, ესენია: ვიტალური, უსაფრთხოების, მიჯაჭვულობის, კომპეტენტურობის, თვითაქტუალიზაციისა და *ტრანსცენდენტური* მოთხოვნილებები. ღირებულებათა გაზიარების მნიშვნელობის საკითხი, მასლოუს მიხედვით, ჯერ კიდევ მიჯაჭვულობის სტადიაზე დგება, რათა პიროვნებამ მოიპოვოს სოციალური მიკუთვნებულობის განცდა სხვა ადამიანებთან. ხოლო მოთხოვნილებათა პირამიდის თავზე მასლოუს განათავსებს ტრანსცენდენტურ მოთხოვნილებას, რომელიც

ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობამდე მისვლას გულისხმობს და რომელიც უბიძგებს ადამიანს, განახორციელოს მთელი სამყაროსა და კაცობრიობისათვის სასარგებლო ქცევები (გერიგი, ზიმბარდო 2009, 498-499).

ტრანსცენდენტური ღირებულებებისმაგვარ შინაარსს ატარებს ასევე ცნობილი ფსიქოლოგის, ერიკ ერიკსონის მიერ განსაზღვრული ტერმინი „ქმნადობა“ - მიდრეკილება, განახორციელო სხვათა კეთილდღეობაზე მიმართული ქცევები, რაც ძალზე მნიშვნელოვანი ასპექტია 30-40 წელს მიღწეული ადამიანის განვითარების პროცესში. ქმნადობა, ერიკსონის მოსაზრებით, მაშინ ხდება მნიშვნელოვანი, როდესაც პიროვნებას უკვე შექმნილი აქვს ინტიმური ურთიერთობების მყარი საფუძველი და შეუძლია საკუთარი ძალები და ყურადღება საზოგადოებისა, თუ მომავალი თაობების ინტერესებისათვის მოღვაწეობისაკენ მიმართონ (გერიგი, ზიმბარდო 2009, 445).

ფრანკლი თვით-ტრანსცენდენტურობას განიხილავდა, როგორც მისწრაფებას, აღმოაჩინო მნიშვნელობა საკუთარ ცხოვრებაში (Levenson, Jennings, Aldwin, Shiraishi 2005, 128).

იგივე ტერმინს, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობით, იყენებს შვარცი ღირებულებათა საკუთარ კლასიფიკაციაში, რომელიც გამოყენებული იქნება წინამდებარე ნაშრომში. „თვით-ტრანსცენდენტურობა“, შვარცის კლასიფიკაციით, აერთიანებს უნივერსალიზმისა და კეთილშობილების ღირებულებებს, რომლებიც გამოხატავენ სხვათა ინტერესებსა და კეთილდღეობაზე ორიენტირებას; კეთილშობილების ღირებულების მქონე ადამიანს, ავტორის თანახმად, აქვს „უმთავრესი მიზანი: დაიცვას და გააძლიეროს იმ ადამიანთა კეთილდღეობა, ვისთანაც ახლო კონტაქტში იმყოფება“, ხოლო უნივერსალიზმის ღირებულება მოიაზრებს მიზანის: ”გაუგო, დააფასო, შეიწყნარო და დაიცვა ყველა ადამიანისა და ბუნების კეთილდღეობა“ (Schwartz 2012, 5-7).

ტრანსცენდენტურობის ჩამოთვლილ განსაზღვრებებს აერთიანებს პიროვნების მიერ ისეთი უნივერსალური მნიშვნელობის საკითხებზე წუხილი, როგორებიცაა, გარემოს მოფრთხილება და დაცვა, ასევე ზოგადსაკაცობრიო პრობლემების შესახებ ზრუნვა.